სადოქტორო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირება

(Ph.D in Business Administration)

თბილისი
2018

შინაარსი

I. პროგრამის სახელწოდება: 3
II. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: 3
III. პროგრამის მოცულობა კრედიტებით, მათი განაწილება და სტრუქტურა 3
IV. სწავლების ენა: 4
V. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: 4
VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა 5
VII. სწავლის შედეგები 6
VIII. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები 13
IX. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები 13
X. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები: 16
XI. დასაქმების სფეროები 16
XII. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 17
XIII. სწავლის საფასური 17
XIV. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა 17
XV. დანართები 18

I. პროგრამის სახელწოდება:

ბიზნესის ადმინისტრირება
(Business Administration)

II. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი (Ph.D in Business Administration)

III. პროგრამის მოცულობა კრედიტებით, მათი განაწილება და სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის მომზადების სპეციფიკა, აგრეთვე ის გამოცდილება, რაც დაგროვდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტებთან მუშაობის პროცესში. ასევე, გათვალისწინებულია საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნები, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი და თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადა 3 წელია (მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 5 წელი). დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს, 130 კრედიტი ეთმობა კვლევას.

სასწავლო კომპონენტი გულისხმობს ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიღებული ცოდნის გაღრმავებას, ტრანსფერირებადი უნარების განვითარებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას და დოქტორანტის ჩართვას სასწავლო პროცესში. იგი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის დაწერაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განმარტებები მოცემულია თსუ დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა
სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5 კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	15 კრედიტი
სემინარი	სავალდებულო	10 კრედიტი

აკადემიური წერა	სავალდებულო	5 კრედიტი
კვლევის მეთოდები (სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში)	სავალდებულო	5 კრედიტი
არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა	არჩევითი	10 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	არჩევითი	5 კრედიტი
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	არჩევითი	10 კრედიტი
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი (შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში)	არჩევითი	10 კრედიტი

უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა შეიძლება პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები სემინარი შეასრულონ უცხო (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ) ენაზე ქართული სინქრონული თარგმანით.

სადოქტორო პროგრამა მოიცავს შემდეგ კონცენტრაციებს:

- ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;
- მარკეტინგი;
- მენეჯმენტი;
- ფინანსები;
- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი ;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

IV. სწავლების ენა:

პროგრამის სწავლების ენა არის ქართული

V. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია დოქტორანტებისათვის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში შემოქმედებითი (ნოვატორული) იდეების გენერაცია, კრეატიული იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნა, ამ იდეების შეფასებისა და განხორციელებისათვის საკმარისი ანალიტიკური უნარის გამომუშავება, მათი

სხვებისათვის გააზრება და გავრცელება, აგრეთვე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლება. ეს მიზნები თსუ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების შესაბამის კათედრებზე განხორციელდება მეცნიერული კვლევების ორგანიზებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს. აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს. პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მოეთხოვება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი). სასურველია მაგისტრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მეცნიერებების ნებისმიერ სპეციალობაში. თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირებაგავლილ, აგრეთვე, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სამუშაო გამოცდილების მქონე პიროვნებებს (შესაბამისი დოკუმენტაცია სხვა საბუთებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი).
დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ 2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით. ევროპული სამეცნიერო (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ საქართველოში ან მის ფარგლებს სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განისაზღვრება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებით. დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით კომისიის წინაშე.

VII. სწავლის შედეგები

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორები მომავალი ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალი მენეჯერები არიან, რომელთაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები და გაავრცელონ ისინი პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

ა) ცოდნა და გაცნობიერება:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მას უნდა გააჩნდეს ბიზნესის მართვის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის ხელახალი გააზრების, გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა იცოდეს მეცნიერული კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები და ხერხები, კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები, ბიზნესის მართვის თეორიები, კონცეფციები და პრინციპები, რომლებიც მეცნიერების უახლეს მიღწევებზეა დამყარებული.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა შეეძლოს ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა, აგრეთვე ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე იქნება ორიენტირებული და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში აისახება. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა ჰქონდეს ბიზნეს–პროცესების გააზრებისა და ადაპტირების მეცნიერული ერთიანობის უნარი. აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში მან ხელი უნდა

შეუწყოს ბიზნესის წინსვლას, ხოლო პრაქტიკულ საქმიანობაში მას უნდა შეეძლოს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და განსაზღვროს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

კონცენტრაციების მიხედვით დარგობრივი კომპეტენციები ასეთია:

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კონცენტრაციით სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:

- მეცნიერულ კვლევებში ფართოდ გამოიყენოს სტატისტიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები;
- მართოს საწარმოს (ორგანიზაციის) ბუღალტრული აღრიცხვის და შიდა აუდიტის სამსახურები;
- ასწავლოს ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

მარკეტინგის კონცენტრაციით ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეძლოს:

- მარკეტინგის თანამედროვე თეორიებისა და მოდელების გამოყენება ბიზნესში;
- ბაზარზე მიმდინარე მოვლენების ახსნა;
- მომხმარებელთა აღქმადობის პროცესის შეფასება და მომხმარებელთა პრეფერენციების გაზომვა;
- ახალი პროდუქციის შექმნასა და დანერგვაში მონაწილეობა;
- ბაზარზე ფირმის წარმატების მისაღწევად კონკურენტული სტრატეგიების შემუშავება;
- ოპტიმალური საასორტიმენტო სტრუქტურის შექმნა;
- სარეკლამო და სტიმულირების ღონისძიებების გაუმჯობესების გზები დასახვა;
- რეკლამის ეფექტიანობის გამოთვლა;

- პროდუქციის ფასებზე მომხმარებელთა რეაქციის შეფასება და ოპტიმალური ფასწარმოქმნის სტრატეგიების შექმნა;
- განაწილების ოპტიმალური არხების შერჩევა და საქონელმოძრაობის სრულყოფისათვის ღონისძიებების შემუსავება;
- თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით მარკეტინგული კვლევების ჩატარება;
- მარკეტინგული გეგმების მომზადება ორგანიზაციის საერთო ბიზნეს-გეგმასთან ურთიერთკავშირში;
- საგარეო ბაზარზე წარმატებული საქმიანობის მარკეტინგული ღონისძიებების ;
- ბიზნეს-პარტნიორებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფა;
- საწარმოში (ორგანიზაციაში) მარკეტინგული სამსახურის მართვა;
- მარკეტინგის სწავლება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

მენეჯმენტის კონცენტრაციით სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:

- შეიმუშაოს საწარმოს/ორგანიზაციის სტრატეგიული, ტაქტიკური და სხვა სახის გეგმები, მოახდინოს მათი იმპლემენტაცია და შეფასება;
- გამოიყენოს მართვის თანამედროვე ფუნქციები, მართვისადმი მიდგომები და მართოს საწარმო/ორგანიზაცია როგორც დაბალ, ასევე საშუალო და მაღალი მართვის იერარქიულ დონეზე;
- მოახდინოს საწარმოს/ორგანიზაციის პერსონალის ატესტაცია, ჩაატაროს საკადრო ოპტიმიზაცია, მოამზადოს სამუშაოს აღწერილობა (job description) სხვადასხვა პოზიციებისათვის და მართოს პერსონალი;
- ჩაატაროს კვლევები საწარმოს/ორგანიზაციის მართვის საკითხებზე, რომლის საფუძველზეც მოახდინოს სტრუქტურის და მართვის ოპტიმიზაცია;

- ასწავლოს მენეჯმენტი და მონათესავე დისციპლინები (სტრატეგიული მენეჯმენტი, ოპერაციათა მენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი, საერთაშორისო მენეჯმენტი და სხვა) სწავლების თანამედროვე მეთოდების შესაბამისად.

ფინანსების კონცენტრაციის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:

- მეცნიერული კვლევის ჩატარება საფინანსო–საბანკო, საბაჟო–საგადასახადო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სფეროში;
- ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ფინანსური ღონისძიებების შემუშავება და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;
- საბანკო ოპერაციების განხორციელება;
- საბანკო საქმიანობისა და ბანკის პერსონალის მართვის რაციონალური და ეფექტიანი სისტემის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ბაზრის კონიუნქტურას;
- გადასახადების ტარიფების გაანგარიშება და მათი ამოღების უზრუნველყოფა. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულება;
- სადაზღვევო საქმიანობის რაციონალურად და ეფექტიანად წარმართვა;
- საფინანსო–საბანკო, საბაჟო–საგადასახადო და სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკურ–სამართლებრივი საკითხები დამოუკიდებლად გადაწყვეტა, აგრეთვე მუშა–მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;
- ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის სწავლება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კონცენტრაციით ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეძლოს:

- ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს გამოკვლევა რაოდენობრივ და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით;
- ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და მისადაგება;
- ტურიზმის განვითარების საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომა;
- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სწავლება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

ინფორამციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის კონცენტრაციით სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:

- გამოიკვლოს საზოგადოების ინფორმატიზაციის პრობლემები;
- მართოს საწარმოს (ორგანიზაციის) ინფორმაციული რესურსები;
- ფართოდ გამოიყენოს თანამედროვე ტექნიკური საშუალებები და პროგრამული პროდუქტები ისეთი საგნების შესასწლად როგორიცაა ინფორმაციული მენეჯმენტი, მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლგიები, მონაცემების ელექტრონული დამუშავების დაპროექტება;
- შეისწვლოს პროგრამული პროდუქტების ბაზარი და შეარჩიოს საწარმოში (ორგანიზაციაში) დასანერგი პერსპექტიული პროგრამული უზრუნველოფა;
- საინფორმაციო სისტემების შემუშავებასა და დანერგვისას გამოიყენოს მონაცემების მანქანური დამუშავების საერთაშორისო სტანდარტები და საინფორმაციო სისტემების დაპროექტების ავტომატიზაციის თანამედროვე მეთოდები.

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის კონცენტრაციით ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეძლოს:

- საერთაშორისო ბიზნესის მიღწევების გაანალიზება და საერთაშორისო კომპანიაში მათი შედეგების დანერგვის შესახებ პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება, ახალი ეფექტური წინადადებების შეთავაზება;
- საერთაშორისო ბიზნესის შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება და მისი დამუშავება, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ეფექტურად გადაწყვეტა;
- საერთაშორისო ბიზნესში მოქმედი კომპანიების საქმიანობის კვლევა და ბიზნესის განვითარების პრობლემების გადაწყვეტა, ამ მიზნით მართვის ეფექტური მეთოდებისა და მოდელების გამოყენება;
- საერთაშორისო ბიზნესის სფეროში ინფორმაციის გაანალიზება და მისი შედეგების გამოყენება;
- საერთაშორისო ბიზნესის დარგში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში.

გ) დასკვნის უნარი:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეძლოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ბიზნესის მართვაში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა, პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.

დ) კომუნიკაციის უნარი:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეძლოს დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩინოს ახალი ცოდნა არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან დაამყაროს კომუნიკაცია, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან უცხოურ ენაზე

თემატურ პოლემიკაში ჩართვა. კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს შეუძლია :

- მაღალკვალიფიციური მონაწილეობის მიღება ზოგადი და სპეციალური ხასიათის ბიზნესის საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიაში;
- არსებული ცოდნის კრიტიკული ანალიზი და მისგან ახალი ცოდნის მკაფიო გამიჯვნა და დემონსტრირება;
- შეუძლია მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
- წამყვანი ელექტრონული ბიბლიოთეკებიდან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით ბიზნესის ადმინისტრირების დარგში უახლესი ინფორმაციის მიღება და გაცემა;

კურსდამთავრებულს აქვს უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე– პროფესიონალი მცოდნე (დარგობრივ სფეროში). კომუნიკაცია – შეუძლია რთული, ვრცელი ტექსტების *გაგება* და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. შეუძლია დაუბრკოლებლად *საუბარი* ისე, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას დრო არ დაუთმოს. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ. *კითხვა* – შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილების გადაკითხვა. *წერა* – შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა

ე) სწავლის უნარი:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს შეუძლია:

- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიღება და გადაცემა;
- სრულფასოვანი და მასშტაბური კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად შემუშავება, რომელიც პასუხობს მაღალ აკადემიურ სტანდარტებს და კონკურენტუნარიანია სამეცნიერო ფონდების კვლევის დაფინანსების მოპოვების თვალსაზრისით

ვ) ღირებულებები:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა შეეძლოს ბიზნესის მართვის სფეროში ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შეუშავება, ორიგინალური კვლევების მეშვეობით თავისი წვლილი შეიტანოს ბიზნესის განვითარებაში.

VIII. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებია: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

IX. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია
91%– ზე მეტი	(A) „ფრიადი“	დადებითი
81 – 90%	(B) „ძალიან კარგი“	დადებითი
71 – 80%	(C) „კარგი“	დადებითი
61 – 70%	(D) „დამაკმაყოფილებელი“	დადებითი
51 – 60%	(E) „საკმარისი“	დადებითი
41 – 50%	(FX) „ვერ ჩააბარა“	უარყოფითი

40% და ნაკლები	(F) „ჩაიჭრა“	უარყოფითი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, X-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფორმდება შეფასება -0

დოქტორანტურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია), რომლის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენითა და დაცვით (პრეზენტაციით, სამეცნიერო დისკუსიით). დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს სამეცნიერო დარგის განვითარებაში. დისერტაციაზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით და ძირითადად კონცენტრირებულია მინიმალური ხელშეწყობის პირობებში მეცნიერულ თვითგანვითარებაზე.

დისერტაციის შეფასება

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის 3 ბრძანებით დამტკიცებული

შეფასების სისტემის შესაბამისად. ამასთან, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. დისერტაციის შესაფასებლად სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე ფარული კენჭისყრით. სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს კონფიდენციალურად შედეგის მიღწევის დადგენილი მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. დისერტაციის დაცვა ფასდება სადისერტაციო კომისიის დახურულ სხდომაზე ფარული კენჭისყრით, რაზეც დგება ოქმი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

დისერტაციის უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

-არადამაკმაყოფილებელი (insufficient) არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო მაქსიმალური შეფასების 41- 50%;

- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს წარუდგინოს

განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით. არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

X. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:

პროფესორი ნ. თოდუა, პროფესორი ი. კოვზანაძე, პროფესორი დ. ნარმანია, პროფესორი თ. შენგელია, პროფესორი ე. ხარაბაძე, პროფესორი დ. სიჭინავა, პროფესორი ი.ხელაშვილი.

სადოქტორო პროგრამის კონცენტრაციების ხელმძღვანელებია:

- პროფესორი ე. ხარაბაძე-კონცენტრაცია "ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი";
- პროფესორი ნ. თოდუა-კონცენტრაცია "მარკეტინგი";
- პროფესორი დ. ნარმანია- კონცენტრაცია "მენეჯმენტი";
- პროფესორი ი. კოვზანაძე- კონცენტრაცია "ფინანსები";
- პროფესორი დ. სიჭინავა -კონცენტრაცია "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი".
- პროფესორი თ. შენგელია-კონცენტრაცია "საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი";
- პროფესორი ი.ხელაშვილი-კონცენტრაცია "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი".

XI. დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სფეროა ეკონომიკისა და ბიზნესის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები, საწარმოო კოოპერატივები, სამეურნეო ამხანაგობები და საზოგადოებები), აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროში. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორებს ასევე, შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი

განათლების შესახებ საქართველოს კანონით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით.

XII. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების შესაბამის კათედრებზე, აგრეთვე თსუ-ს, საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზაზე. ფაკულტეტზე, სადაც დაგეგმილია კვლევა, არსებობს კომპიუტერული კლასები და ინტერნეტი. ასევე, ცალკეულ კათედრებს გააჩნიათ კომპიუტერები და ინტერნეტში მუშაობის შესაძლებლობა. პროგრამაში მონაწილე ყველა ლექტორს აქვს შესაბამისი უახლესი ლიტერატურა, ამიტომ დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება სწავლებისა და კვლევებისათვის აუცილებელი ლიტერატურით.

XIII. სწავლის საფასური

სწავლების საფასური შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის.

XIV. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

XV. დანართები

პროგრამას ახლავს შემდეგი დანართები

დანართი 1 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;

	სწავლების თანამედროვე მეთოდები	აკადემიური წერა	კვლევის მეთოდები (სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში)	პროფესორის ასისტენტობა	სემინარი	კვლევითი კომპონენტი (სადისერტაციო ნაშრომი)
ცოდნა და გაცნობიერება: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მას უნდა გააჩნდეს ბიზნესის მართვის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის ხელახალი გააზრების, გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა იცოდეს მეცნიერული კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები და ხერხები, კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები, ბიზნესის მართვის თეორიები, კონცეფციები და პრინციპები, რომლებიც მეცნიერების უახლეს მიღწევებზეა დამყარებული.	X	X	X		X	X
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა შეეძლოს ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა, აგრეთვე ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და	X	X	X	X	X	X

მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე იქნება ორიენტირებული და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში აისახება. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა ჰქონდეს ბიზნეს–პროცესების გააზრებისა და ადაპტირების მეცნიერული ერთიანობის უნარი. აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში მან ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის წინსვლას, ხოლო პრაქტიკულ საქმიანობაში მას უნდა შეეძლოს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და განსაზღვროს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.						
დასკვნის უნარი: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეძლოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ბიზნესის მართვაში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა, პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.	X		X		X	X
კომუნიკაციის უნარი: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეძლოს დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩინოს ახალი ცოდნა არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან დაამყაროს კომუნიკაცია, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან უცხოურ ენაზე თემატურ პოლემიკაში ჩართვა. კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს შეუძლია : • მაღალკვალიფიციური მონაწილეობის მიღება ზოგადი და სპეციალური ხასიათის ბიზნესის საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიაში; • არსებული ცოდნის კრიტიკული ანალიზი და მისგან ახალი ცოდნის მკაფიო გამიჯვნა და დემონსტრირება;	X	X	X	X	X	X

• შეუძლია მონაცემთა ბაზებთან მუშაობა; • წამყვანი ელექტრონული ბიბლიოთეკებიდან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით ბიზნესის ადმინისტრირების დარგში უახლესი ინფორმაციის მიღება და გაცემა. კურსდამთავრებულს აქვს უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე– პროფესიონალი მცოდნე (დარგობრივ სფეროში). კომუნიკაცია – შეუძლია რთული, ვრცელი ტექსტების *გაგება* და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. შეუძლია დაუბრკოლებლად *საუბარი* ისე, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას დრო არ დაუთმოს. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ. *კითხვა* – შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილების გადაკითხვა. *წერა* – შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა						
სწავლის უნარი: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს შეუძლია: • უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიღება და გადაცემა; • სრულფასოვანი და მასშტაბური კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად შემუშავება, რომელიც პასუხობს მაღალ აკადემიურ სტანდარტებს და კონკურენტუნარიანია სამეცნიერო ფონდების კვლევის დაფინანსების მოპოვების თვალსაზრისით.	X	X	X		X	X
ღირებულებები: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა შეეძლოს ბიზნესის მართვის სფეროში ღირებულებათა დამკვიდრების	X	X	X	X	X	X

გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შეუშავება, ორიგინალური კვლევების მეშვეობით თავისი წვლილი შეიტანოს ბიზნესის განვითარებაში.						

დანართი 2 პროგრამის ხელმძღვანელების CV;

დანართი 3 პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის CV;

დანართი 4 ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ;

დანართი 5 პროგრამის სილაბუსები;

დანართი 6 პროგრამის დამტკიცების აქტი

თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №97/2018, 2 აპრილი, 2018;
„საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ
https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/972018//

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის 30 მარტის №6403/10 და №6492/10 წერილებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის №8 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილებები „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილების შემდეგ დანართებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) II ნაწილის „ა“ პუნქტის 35-ე ქვეპუნქტით დამტკიცებული საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ–რუსულენოვანი)“ (დანართი 35);
ბ) III ნაწილის „ა“ პუნქტის 78-ე ქვეპუნქტით დამტკიცებული საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ (დანართი 78);
გ) III ნაწილის „ბ“ პუნქტის 81-ე ქვეპუნქტით დამტკიცებული სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (დანართი 81);
დ) III ნაწილის „ბ“ პუნქტის 83^1 ქვეპუნქტით დამტკიცებული სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი (ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამა)“ (დანართი

211);
ე) III ნაწილის „გ“ პუნქტის 85-ე ქვეპუნქტით დამტკიცებული სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (დანართი 85).

2. „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილების III ნაწილის „ბ“ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 83^2 ქვეპუნქტი:

„83^2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტის - ლიონ 2 (საფრანგეთი) ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“ (დანართი 289);“.

3. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი 7. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №25/2011, 16 მარტი, 2011 ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ (კოდიფიცირებული. ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს № 54/2013, 25.03.2013; № 45/2014, 19.05.2014; № 124/2016, 31.10.2016 ; № 18/2017, 20.02.2017; №77/2018, 26.02.2018 დადგენილებებით)

დანართი 8. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №215 4 მაისი, 2009 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ (ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 11.07.2011, № 68/2011, 10.10.2011, № 108 /2011, 16.01.2012, №4 /2012, 29.01.2013, №6/2013 და 6.11.2017, №130/2017 დადგენილებებით)